



IBSU

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ხარისხის მართვის სისტემის დოკუმენტაცია

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის მარეგულირებელი წესი

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 14/09/2016 წ. - გადაწყვეტილება №2 (დანართი №2)

დამტკიცებულია

ქვემოთ მოცემული ხელმოწერები ადასტურებს, რომ აღნიშნული დოკუმენტი წაკითხული და მიღებულია.

ხელმოწერის ავტორები ადასტურებენ, რომ ისინი ნამდვილად ფლობენ წინამდებარე დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას და უზრუნველყოფენ მასში ასახული პირობების განხორციელებას.

მოამზადა:	იურიდიული სამსახური	
შეამოწმა:	ხარისხის მთლიანი მართვის საბჭო	
დაამტკიცა:	აკადემიური საბჭო	

დოკუმენტის No: IBSU.R17G

ვერსია: 1.00

განახლების თარიღი:
08/02/2019

შეუმოწმებელი ვერსია

შემოწმებული ვერსია

დამტკიცების თარიღი:
14/09/2016

შსს-ს კუთვნილი დოკუმენტაცია.

წინამდებარე დოკუმენტით სარგებლობამდე, დარწმუნდით, რომ აღნიშნულ დოკუმენტს აქვს საბოლოო განახლების ნომერი.

ცვლილების შეტანის სურვილის შემთხვევაში, ხარისხის მართვის საბჭოს წარუდგინეთ დოკუმენტის ცვლილების მოთხოვნის ფორმა.

შინაარსი

შეტანილი ცვლილებები.....	4
ცვლილებების ნუსხა.....	5
მუხლი 1. მოქმედების სფერო და ფარგლები	6
მუხლი 2. ტერმინთა განმარტება	6
მუხლი 3. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ...	7
მუხლი 4. შხსუ-ს მიერ განსაზღვრულ გამოცდაზე რეგისტრაციის წესი	7
მუხლი 5. შხსუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდის ჩატარების წესი	8
მუხლი 6. საგამოცდო ნამუშევრის შემოწმება და აპლიკანტებისათვის პირველადი შედეგების გაცნობა	9
მუხლი 7. საგამოცდო ნამუშევრის გასაჩივრება.....	9
მუხლი 8. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა .	10
მუხლი 9. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სტატუსის შეჩერება	10
მუხლი 10. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სტატუსის აღდგენა	11
მუხლი 11. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სტატუსის შეწყვეტა	12
მუხლი 12. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის უფლება - მოვალეობები	12
მუხლი 13. საგანმანათლებლო პროცესის ხანგრძლივობა	14
მუხლი 14. რეგისტრაცია	14
მუხლი 15. პირის საიდენტიფიკაციო ბარათი	15
მუხლი 16. სწავლების ენა	15
მუხლი 17. საკრედიტო სისტემა.....	15
მუხლი 18. აკადემიური მრჩეველი	15
მუხლი 19. კომპონენტის განმეორებით გავლა.....	16
მუხლი 20. პრაქტიკა	16
მუხლი 21. შეფასების პრინციპები	16
მუხლი 22. შეფასების მეთოდი და ფორმა.....	16
მუხლი 23. შუალედური შეფასება	17

მუხლი 24. დასკვნითი შეფასება.....	18
მუხლი 25. აღდგენითი შუალედური გამოცდა/აღდგენითი დასკვნითი შეფასება	18
მუხლი 26. დამატებითი გამოცდა.....	18
მუხლი 27. პირის მიღწევების შეფასება	19
მუხლი 28. საგამოცდო პროცესი	19
მუხლი 29. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება 19	
მუხლი 30. სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებული საკითხები	20
მუხლი 31. სახელმწიფო გრანტი	20
მუხლი 32. სწავლის საფასურის გადახდა დამატებითი/ჩაჭრილი კომპონენტ(ებ)ის/დამატებითი სემესტრ(ებ)ისათვის	20
მუხლი 33. სწავლის საფასურის გადახდის წესი სტატუსშეჩერებული პირებისათვის 20	
მუხლი 34. სწავლის საფასურის გადახდის წესი სტატუსშეწყვეტილი პირებისათვის 21	
მუხლი 35. ვალის არსებობის აღიარება	21
მუხლი 36. დასკვნითი დებულებები	21
მუხლი 37. გარდამავალი დებულებები.....	22
მუხლი 38. ძალაში შესვლა	23
მუხლი 39. შესრულებაზე ზედამხედველობა.....	23

შეტანილი ცვლილებები

#	გადაწყვეტილების მიმღები ორგანო	გადაწყვეტილების №	თარიღი
1.	აკადემიური საბჭო	09	22.08.2017
2.	აკადემიური საბჭო	03	08.02.2019

თავდაპირველი რედაქცია: 14.09.2016- #2

ცვლილებების ნუსხა

#	თარიღი	მუხლი	შენიშვნა
01	22.08.2017	2	ტერმინთა განმარტება
02	22.08.2017	4	შსსუ-ს მიერ განსაზღვრულ გამოცდაზე რეგისტრაციის წესი
03	22.08.2017	5	შსსუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდის ჩატარების წესი
04	22.08.2017	6	საგამოცდო ნამუშევრის შემოწმება და აპლიკანტებისათვის პირველადი შედეგის გაცნობა
05	22.08.2017	7 7.1	საგამოცდო ნამუშევრის გასაჩივრება ამოღებულია
06	22.08.2017	10	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სტატუსის აღდგენა
07	22.08.2017	12	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის უფლება - მივალეობები
08	22.08.2017	13	საგანმანათლებლო პროცესის ხანგრძლივობა
09	22.08.2017	14	რეგისტრაცია
10	22.08.2017	19	კომპონენტის განმეორებით გავლა
11	22.08.2017	22	შეფასების მეთოდი და ფორმა
12	22.08.2017	24	დასკვნითი შეფასება
13	22.08.2017	26	დამატებითი გამოცდა
14	22.08.2017	29	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება
15	22.08.2017	31	სახელმწიფო გრანტი
16	08.02.2019	10	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სტატუსის აღდგენა

მუხლი 1. მოქმედების სფერო და ფარგლები

- 1.1. წინამდებარე დოკუმენტის მიზანია მოაწესრიგოს შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის (შემდგომში „შხსუ“) მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე პირის მიღების წესი და პირობები, სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლისა და პროგრამის დასრულებასთან დაკავშირებული საკითხები.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

- 2.1. **აპლიკანტი** – ბაკალავრის, მაგისტრის და/ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც მიღებული აქვს „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის № 36/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის აკადემიური ხარისხი ან სამხედრო/სასპორტო პროფესიული განათლება (ამ შემთხვევაში აუცილებელია სრული ზოგადი განათლების ქონა), კანონმდებლობით დადგენილი წესით, წარმატებით აქვს ჩაბარებული იმ საგნის გამოცდა, რომლის შესაბამისი აკადემიური ხარისხიც/განათლებაც აქვს და დარეგისტრირდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრულ გამოცდაზე.
- 2.2. **მასწავლებელი** – მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული პროფესიული ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც ერთ საგანს მაინც ასწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში.
- 2.3. **მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა** – ბაკალავრიატისა და მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისაგან დამოუკიდებელი, შესაბამის სტანდარტზე დაყრდნობით შემუშავებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა.
- 2.4. **საგნის გამოცდა** - საგნის გამოცდის ჩატარების წესით გათვალისწინებული საგნის გამოცდა, რომლის წარმატებით ჩაბარების შედეგად აპლიკანტი მოიპოვებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრულ გამოცდაზე გასვლის უფლებას.
- 2.5. **შხსუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა** – გამოცდა, რომლის საფუძველზეც აპლიკანტი ჩაირიცხება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე.
- 2.6. **ფაკულტეტი** - განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

- 2.7. პირი - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირი.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით - ოქმი #9.

მუხლი 3. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა

- 3.1. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის საფუძველია:
- 3.1.1. საგნის გამოცდის წარმატებით ჩაბარება;
- 3.1.2. შსსუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდის ჩაბარება.
- 3.2. შსსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნებისათვის, მისაღება ერთ-ერთი შემდეგი საგნის გამოცდის წარმატებით ჩაბარება:
- 3.2.1. უცხოური ენები (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური) - ინგლისური ენა;
- 3.2.2. მათემატიკა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური).

მუხლი 4. შსსუ-ს მიერ განსაზღვრულ გამოცდაზე რეგისტრაციის წესი

- 4.1. მასწავლებლის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე საბუთების მიღების პერიოდი, გამოცდის თარიღი, შედეგების გამოცხადების თარიღი, გასაჩივრების ვადა, საბოლოო შედეგების გამოცხადების თარიღი და აპლიკანტთან ხელშეკრულების დადების თარიღი განისაზღვრება რექტორის ბრძანებით.
- 4.2. შსსუ-ს ვებ-გვერდზე საბუთების მიღებამდე სულ მცირე 2 სამუშაო დღით ადრე ქვეყნდება საბუთების მიღების თარიღი, გამოცდის შინაარსი, ჩატარების ფორმა და ინფორმაცია გამოცდასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ.
- 4.3. გამოცდაზე რეგისტრაციის მიზნით, აპლიკანტმა განცხადებით უნდა მიმართოს შსსუ-ს (R17F02). განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტები:
- 4.3.1. ბაკალავრის, მაგისტრის და/ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი;
- 4.3.2. უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს ცნობა უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი;

- 4.3.3. პირადობის მოწმობის ასლი;
 - 4.3.4. 2 ფოტო (3X4);
 - 4.3.5. ფოტო CD დისკზე;
 - 4.3.6. რეზიუმე (ქართულ და ინგლისურ ენებზე);
 - 4.3.7. სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულ პირთათვის);
 - 4.3.8. საგნის გამოცდის წარმატებით ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი.
- 4.4. აპლიკანტი ვალდებულია ჩააბაროს მისთვის მინიჭებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის აკადემიური ხარისხისა და ჩაბარებული საგნის გამოცდის შესაბამისი შხსუ-ს გამოცდა.
- 4.5. გამოცდის ორგანიზებას ახდენს ფაკულტეტი.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით - ოქმი #9.

მუხლი 5. შხსუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდის ჩატარების წესი

- 5.1. შხსუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა ტარდება წერილობითი ფორმით, ინგლისურ ენაზე.
- 5.2. გამოცდა ტარდება 90 წუთის განმავლობაში. გამოცდის ფორმატი არის ესე. აპლიკანტმა ესეში უნდა ასახოს პროგრამაზე ჩარიცხვის მოტივაცია, დაასაბუთოს საკუთარი პროფესიული წინსვლისა და განვითარების საჭიროება და განსაზღვროს ამ მიზნის მიღწევის გზები.
- 5.3. ესეს შეფასების მაქსიმალური ქულა არის 40 ქულა. ესეს შეფასების კრიტერიუმი განისაზღვრება R17F02-ით.
- 5.4. გამოცდის დაწყებამდე:
 - 5.4.1. აპლიკანტი უნდა გამოცხადდეს საგამოცდო ოთახში გამოცდის დაწყებამდე სულ მცირე 10 წუთით ადრე;
 - 5.4.2. აპლიკანტების მობილური ტელეფონები, ჩანთები და სხვა საგნები უნდა განთავსდეს ამისთვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილას;
 - 5.4.3. აპლიკანტმა პირადობის მოწმობა უნდა წარუდგინოს მეთვალყურეს;
 - 5.4.4. მეთვალყურემ უნდა შეამოწმოს „საგამოცდო დასწრების ფურცელი“;
 - 5.4.5. გამოცდაზე დამსწრე ყველა აპლიკანტი ვალდებულია ხელი მოაწეროს „საგამოცდო დასწრების ფურცელს“.
- 5.5. გამოცდის მსვლელობისას:

- 5.5.1. აპლიკანტს ეკრძალება გადაწერა, საუბარი, სხვისი დახმარება და ტექნიკის გამოყენება;
- 5.5.2. თუ გამოცდის დასრულებისას დარჩა ორი აპლიკანტი, ისინი უნდა დაელოდონ ერთმანეთს;
- 5.5.3. აპლიკანტები არ იქნებიან უზრუნველყოფილები დამატებითი დროით;
- 5.5.4. აპლიკანტი რომელიც დატოვებს აუდიტორიას გამოცდის მსვლელობისას შეუძლოდ ყოფნის მიზეზით, თან უნდა გაჰყვეს მეთვალყურე.
- 5.6. გამოცდის წესების დარღვევა:
 - 5.6.1. თუ აპლიკანტი დაარღვევს გამოცდის ნებისმიერ წესს (მათ შორის გადაწერის მცდელობა/გადაწერა, გადაწერაში სხვისთვის დახმარების გაწევა, სხვა აპლიკანტთან საუბარი ნებისმიერ თემაზე და ა.შ) მისი ნამუშევარი ნულდება და აღარ ეძლევა შხსუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდის იმავე წელს ჩაბარების უფლება.
- 5.7. გამოცდის დასრულების შემდეგ:
 - 5.7.1. აპლიკანტის მიერ მუშაობის დასრულების შემდეგ საგამოცდო ნამუშევრებს მეთვალყურე ათავსებს კონვერტში, მას შემდეგ რაც დარწმუნდება, რომ ნაშრომზე მითითებულია აპლიკანტის სახელი, გვარი და პირადი ნომერი.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით - ოქმი #9.

მუხლი 6. საგამოცდო ნამუშევრის შემოწმება და აპლიკანტებისათვის პირველადი შედეგის გაცნობა

- 6.1. საგამოცდო ნამუშევარი მოწმდება შესაბამისი დარგის კომისიის მიერ (R17F03).
- 6.2. კომისია იქმნება გამოცდის შესაბამისი დარგის/დარგების, დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე, სულ მცირე 3 პირისაგან, რექტორის აქტით.
- 6.3. გამოცდის შედეგები აპლიკანტებს ეცნობებათ განცხადებაში მითითებულ ელ-ფოსტაზე ინფორმაციის გაგზავნის გზით, გამოცდის შედეგების მიღებიდან სულ მცირე 1 სამუშაო დღის ვადაში. გამოცდის შედეგები აგრეთვე განთავსდება შხსუ-ს ვებ-გვერდზე.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით - ოქმი #9.

მუხლი 7. საგამოცდო ნამუშევრის გასაჩივრება

- 7.1. ამოღებულია;
- 7.2. აპლიკანტის საჩივარს განიხილავს რექტორის აქტით შექმნილი სააპელაციო კომისია.

- 7.3. სააპელაციო კომისია შედგება დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე შესაბამისი დარგის/დარგების სულ მცირე 3 სპეციალისტისაგან.
- 7.4. სააპელაციო კომისიის წევრი ამავდროულად არ უნდა იყოს საგამოცდო კომისიის წევრი.
- 7.5. სააპელაციო კომისიის შედეგები აპლიკანტებს ეცნობებათ 1 სამუშაო დღის ვადაში განცხადებაში მითითებულ ელ-ფოსტაზე ინფორმაციის გაგზავნით.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით - ოქმი #9.

მუხლი 8. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა

- 8.1. აპლიკანტი, რომელიც წარმატებით ჩააბარებს საგნის გამოცდას და შხსუ-ს მიერ განსაზღვრულ გამოცდას ხვდება რანჟირების დოკუმენტში.
- 8.2. რანჟირების დოკუმენტი იქმნება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და აპლიკანტთა მიერ შხსუ-ს მიერ განსაზღვრულ გამოცდაში მიღებული ქულის შესაბამისად.
- 8.3. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე.
- 8.4. აპლიკანტის ჩარიცხვა ფორმდება, შხსუ-სა და აპლიკანტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების (R17F06) საფუძველზე.
- 8.5. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, დგება რექტორის ერთიანი აქტი, რომლის შემდეგ აპლიკანტი ირიცხება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე.
- 8.6. კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში, რექტორის აქტი ეგზავნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, აგრეთვე ჩარიცხული პირების შესახებ ინფორმაცია ეცნობება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

მუხლი 9. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სტატუსის შეჩერება

- 9.1. პირის სტატუსის შეჩერებად განიხილება შხსუ-სა და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება პირის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.
- 9.2. პირის სტატუსის შეჩერების საფუძველია:
 - 9.2.1. პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);
 - 9.2.2. ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;

- 9.2.3. ფინანსური დავალიანება;
 - 9.2.4. აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელიობა;
 - 9.2.5. ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელიობა.
- 9.3. პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს სტატუსი, არ განიხილება შხსუ-ს სტუდენტების საერთო რაოდენობის ფარგლებში. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირების რაოდენობის აღრიცხვის მიზნით, შხსუ ვალდებულია უზრუნველყოს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეჩერების რეგისტრაცია.

მუხლი 10. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სტატუსის აღდგენა

- 10.1. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირი უფლებამოსილია აღიდგინოს სტატუსი სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის განმავლობაში.
- 10.2. სტატუსის აღდგენა ხდება რექტორის აქტით, სემესტრის მე-5 კვირამდე. პირის მიერ სტატუსის აღდგენის მოთხოვნით, სემესტრის მე-4 კვირის შემდეგ შხსუ-სთვის მიმართვის შემთხვევაში, სტატუსი აღდგება მომდევნო სემესტრიდან.
- 10.3. სემესტრის განმავლობაში, ფინანსური დავალიანების გამო სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, სტატუსის აღდგენა მოხდება დავალიანების დაფარვისთანავე, დასკვნით შეფასებამდე, თუ პირს შესაძლებლობა ექნება გადალახოს/გადალახა შუალედური შეფასებებისათვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ან დასკვნითი შეფასების შემდეგ.
- 10.4. სტატუსის აღდგენის მიზნით, ფაკულტეტი ქმნის სპეციალურ კომისიას, ფაკულტეტის დეკანის, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის და შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელის შემადგენლობით.
ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 8 თებერვლის №3 ოქმით.
- 10.5. კომისია აშზადებს დასკვნას სტატუსის აღდგენასთან დაკავშირებით. დასკვნაში აღინიშნება პირის მიერ გავლილი სასწავლო კურსები (კრედიტების რაოდენობისა და მიღებული შეფასებების მითითებით), სემესტრი, რომლიდანაც პირმა უნდა გააგრძელოს სწავლა, პირის მიერ ასაღები კრედიტების დარჩენილ ოდენობა, პირის სწავლების ინდივიდუალურ გეგმა (საჭიროების შემთხვევაში).
- 10.6. დასკვნა წარედგინება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და ფაკულტეტის საბჭოს.
- 10.7. სტატუსის აღდგენა ხდება რექტორის აქტის საფუძველზე, კომისიის მიერ მიღებული დასკვნაზე დაყრდნობით.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით - ოქმი #9.

მუხლი 11. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სტატუსის შეწყვეტა

11.1. პირის სტატუსის შეწყვეტის საფუძველებია:

- 11.1.1. მასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;
- 11.1.2. უნივერსიტეტის დისციპლინარული ნორმების დარღვევა, რომლებიც „სტუდენტთა დისციპლინარული პასუხისმგებლობის მარეგულირებელი წესის“ (IBSU.R7G) შესაბამისად ითვალისწინებს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას;
- 11.1.3. ხუთი წლის განმავლობაში სტატუსის შეჩერება;
- 11.1.4. პირადი განცხადება;
- 11.1.5. გარდაცვალება;
- 11.1.6. კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი;
- 11.1.7. 2 (ორი) დამატებით სემესტრში საგანმანათლებლო პროგრამის დაუსრულებლობა.

11.2. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 12. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის უფლება - მოვალეობები

12.1. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირი უფლებამოსილია:

- 12.1.1. მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი უმაღლესი განათლება;
- 12.1.2. შსსუ-ს დებულებებით დადგენილი წესების შესაბამისად, თანაბარ პირობებში ისარგებლოს მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
- 12.1.3. თავისუფლად გამოხატოს თავისი აზრი და უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომლებსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესში;
- 12.1.4. პერიოდულად მიიღოს მონაწილეობა აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასებაში ხარისხის მართვის სამსახურთან თანამშრომლობით;
- 12.1.5. განიხილოს მისთვის საინტერესო საკითხი:
 - ა) სასწავლო პროცესის ადმინისტრატორთან;
 - ბ) პროგრამის ხელმძღვანელთან;

- გ) ფაკულტეტის დეკანთან.
- 12.1.6. მიიღოს სამართლიანი და ობიექტური შეფასება;
- 12.1.7. ლექტორთან ერთად, განიხილოს საგამოცდო ნამუშევარი და მიიღოს უკუკავშირი. აგრეთვე, გამოცდის შედეგების სტუდენტის საინფორმაციო ბაზაში შეყვანის შემდეგ გაასაჩივროს საგამოცდო ნამუშევარი;
- 12.1.8. განახორციელოს შხსუ-ს დებულებებით, მასთან დადებული ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებები.
- 12.2. შხსუ ვალდებულია უზრუნველყოს სამართლიანი და მიუკერძოებელი შეფასება, რისთვისაც ნერგავს შესაბამის პროცედურებს.
- 12.3. პირის მიერ აკადემიური პერსონალის თანდასწრებით გამოთქმული პირადი ინფორმაცია, ასევე ინფორმაცია საკუთარი შეხედულებების, რწმენისა და პოლიტიკური მრწამსის შესახებ, რომელიც ამ უკანასკნელისთვის ცნობილი გახდა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, აგრეთვე ინფორმაცია სტუდენტის მიმართ დისციპლინური ღონისძიების გატარების შესახებ კონფიდენციალურია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს პირის ნებართვა, ან ადმინისტრაციის კანონიერი ინტერესი დაიცვას სხვისი უსაფრთხოება და კანონით დაცული უფლებები.
- 12.4. დაუშვებელია შხსუ-ს მატერიალური და ტექნიკური საშუალებების გამოყენება, პირის აზრის გამოხატვის თავისუფლებისა და/ან ცენზურის დაწესების მიზნით.
- 12.5. შხსუ-ს აუდიტორიებში დამონტაჟებული ვიდეოკამერების მიზანია შხსუ-ს საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვა. მათი გამოყენება სხვა მიზნებით დაუშვებელია.
- 12.6. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირი ვალდებულია:
- 12.6.1. ისწავლოს და განვითარდეს ინტელექტუალურად იმ მრავალი შესაძლებლობის გამოყენებით, რომელსაც მას სთავაზობს შხსუ პირადი ზრდის, განვითარებისა და წარმატებისათვის;
- 12.6.2. დაეუფლოს სასწავლო კომპონენტებს საგანმანათლებლო პროგრამისა და შხსუ-ს დებულებების მოთხოვნების შესაბამისად;
- 12.6.3. დაიცვას შხსუ-ს წესები. წესების არცოდნა არ წარმოადგენს პირის პასუხიმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს;
- 12.6.4. დაიცვას მასსა და შხსუ-ს შორის ორმხრივი შეთანხმებიდან გამომდინარე ვალდებულებები;
- 12.6.5. გაუფრთხილდეს და დაიცვას შხსუ-ს უძრავი და მოძრავი ქონება;

12.6.6. იმოქმედოს გარემოს დაცვითი, ეკოლოგიური, სანიტარული, სახანძრო უსაფრთხოებისა და სხვა ზოგადი წესების შესაბამისად.

12.7. შხსუ-სა და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირს შორის არსებული ორმხრივი ვალდებულებები განსაზღვრულია ამ დებულებით, პირთან დადებული ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით - ოქმი #9.

მუხლი 13. საგანმანათლებლო პროცესის ხანგრძლივობა

13.1. საგანმანათლებლო პროცესი მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მოიცავს 2 (ორი) აქტიურ სემესტრს.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით - ოქმი #9.

მუხლი 14. რეგისტრაცია

14.1. ყოველი სემესტრის დასაწყისში რეგისტრაციის პროცესის ადმინისტრირებას ახდენს ფაკულტეტის სასწავლო პროცესის ადმინისტრატორი და სტუდენტურ საქმეთა განყოფილება. რეგისტრაციის პროცესი მოიცავს აკადემიურ რეგისტრაციას (კომპონენტების არჩევა) და ფინანსურ რეგისტრაციას - უნივერსიტეტის დებულებებისა და პირთან გაფორმებული ხელშეკრულების (შეთანხმების) შესაბამისად სწავლის საფასურის დაფარვას.

14.2. კომპონენტების არჩევის მიზნით, სემესტრის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე, პირს ეხსნება წვდომა მონაცემთა ბაზაზე. კომპონენტზე რეგისტრაციის პროცესი სრულდება სტუდენტურ საქმეთა განყოფილების მიერ რეგისტრაციის დადასტურებით (რეგისტრაციის კვირა).

14.3. თუ პირმა ვერ გაიარა აკადემიური რეგისტრაცია რეგისტრაციის კვირაში, ის უფლებამოსილია აკადემიური რეგისტრაცია გაიაროს სათადარიგო კვირაში, რეგისტრაციის კვირის დასრულებიდან ორი კვირის ვადაში.

14.4. საპატიო მიზეზის არსებობისას, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, რეგისტრაციის გავლა აგრეთვე შესაძლებელია სათადარიგო კვირის დასრულებიდან ერთი კვირის განმავლობაში.

14.5. თუ პირი არ დარეგისტრირდება 14.1 – 14.3 პუნქტების შესაბამისად, მისი სტატუსი შეჩერდება.

14.6. პირი უფლებამოსილია კომპონენტზე რეგისტრაცია გაიაროს სემესტრში 30 კრედიტზე მეტი ოდენობით (წლიური 75 (ECTS) კრედიტის ფარგლებში) როცა:
ა) აღნიშნული განპირობებულია საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებით;

ბ) განპირობებულია პირის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებებებით, შემდეგი გარემოებებიდან გამომდინარე:

ბ.ა) სასწავლო კომპონენტში ჩაჭრა;

ბ.ბ) პირის სურვილი სემესტრის განმავლობაში, წინსწრებით აითვისოს სასწავლო კომპონენტები;

ბ.გ) სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც დასტურდება ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით - ოქმი #9.

მუხლი 15. პირის საიდენტიფიკაციო ბარათი

15.1. შსსუ პირს უზრუნველყოფს საიდენტიფიკაციო ბარათით, რომელიც მოქმედებს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის იდენტიფიცირებას შსსუ-სთან.

მუხლი 16. სწავლების ენა

16.1. სწავლების ენა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე არის ინგლისური.

მუხლი 17. საკრედიტო სისტემა

17.1. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სწავლის შედეგების შეფასება ხდება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული საკრედიტო სისტემით.

17.2. კრედიტი არის ერთეული, რომელიც გამოხატავს პირისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.

17.3. პირის წლიური დატვირთვა არის 60 კრედიტი - 1500 საათი (1 კრედიტი არის 25 საათი და მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს). პირის სემესტრული დატვირთვა არის 30 კრედიტი. საგანმანათლებლო პროგრამის ან/და პირის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია პირის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია პირის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს.

მუხლი 18. აკადემიური მრჩეველი

18.1. პირისათვის კომპონენტზე დარეგისტრირებისა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე კონსულტაციისა და დახმარების გაწევაზე

პასუხისმგებელი პირი არის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის ადმინისტრატორი.

მუხლი 19. კომპონენტის განმეორებით გავლა

- 19.1. თუ პირი ვერ გადალახავს შუალედური შეფასებებისათვის დადგენილ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს იგი არ არის უფლებამოსილი გავიდეს დასკვნით შეფასებაზე. შესაბამისად მან თავიდან უნდა გაიაროს კომპონენტი.
- 19.2. თუ პირის ჯამური ქულა (შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი შეფასების ჯამი) არის 41 ქულაზე ნაკლები, ან მან ვერ გადალახა დასკვნითი შეფასებისათვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, პირმა თავიდან უნდა შეისწავლოს კომპონენტი.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით - ოქმი #9.

მუხლი 20. პრაქტიკა

- 20.1. პრაქტიკა ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებიდან გამომდინარე „პრაქტიკის ინსტრუქციით“ (R03I13) დადგენილი წესით.

მუხლი 21. შეფასების პრინციპები

- 21.1. გამჭვირვალობა – ინფორმაცია შეფასების მეთოდებსა და კრიტერიუმებზე ხელმისაწვდომია ყველასათვის. სტუდენტს სემესტრის დასაწყისშივე ეცნობება როდის და რა კრიტერიუმებით შეფასდება მისი ცოდნა
- 21.2. სისტემატიურობა - შეფასება არ არის ერთჯერადი აქტი, ის პროცესია, რომელიც სტუდენტს გამოუმუშავებს მუდმივ მზადყოფნას გამოავლინოს საკუთარი ცოდნა და უნარი, ხოლო სასწავლო კურსის ხელმძღვანელს - განახორციელოს მონიტორინგი სტუდენტის ცოდნის შექმნისა და განვითარების პროცესზე
- 21.3. სამართლიანობა - სტუდენტის ცოდნის შეფასებისადმი ერთიანი სტანდარტებით ხდება მიდგომა.

მუხლი 22. შეფასების მეთოდი და ფორმა

- 22.1. შეფასების მაქსიმალური ქულა არის 100.
- 22.2. კრედიტის მისანიჭებლად მინიმალური ქულა არის 51. აღნიშნული ქულა შედგება შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულათა ჯამისაგან.
- 22.3. შეფასების ფორმა, მეთოდი და თითოეული კომპონენტისათვის მინიჭებული ქულათა რაოდენობა განისაზღვრება შესაბამისი კომპონენტის სილაბუსით და ეცნობება პირს სემესტრის დაწყებისას.

- 22.4. შუალედური/შუალედური ადღენითი, დასკვნითი/ადღენითი დასკვნითი შეფასება და დამატებითი გამოცდები შესაძლებელია ჩატარდეს წერილობითი, ზეპირი ან შერეული ფორმით.
- 22.5. ზეპირი გამოცდა შესაძლებელია ჩატარდეს ლექტორის ან ლექტორის სურვილით კომისიის მიერ.
- 22.6. კომისიის ჩართულობით ზეპირი გამოცდა ტარდება შემდეგი წესით:
 - 22.6.1. კომისია იქმნება ფაკულტეტის საბჭოს მიერ სამი წევრისაგან.
 - 22.6.2. კომისიაში უნდა შედიოდნენ შესაბამისი სასწავლო კურსის ლექტორი და იმავ/მომიჯნავე დარგის სპეციალისტები, რომლებიც ავტორიზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უძღვებიან სალექციო კურსებს;
 - 22.6.3. ზეპირი გამოცდა ტარდება შესაბამისი კომპონენტის განხორციელების ენაზე;
 - 22.6.4. კომისიის წევრები სტუდენტის შეფასებას ახდენენ ინდივიდუალურად, სასწავლო კურსის სილაბუსში მოცემული შესაბამისი გამოცდის შეფასების რუბრიკის მიხედვით;
 - 22.6.5. დასკვნითი შეფასება აისახება ოქმში.
- 22.7. ზეპირი გამოცდების შედეგების „სისზე“ ასახვის, დაკავშირებული საკითხების გასაჩივრებისა და სტუდენტურ საქმეთა განყოფილებაში შედეგების წარდგენის საკითხები მოწესრიგებულია „გამოცდების ჩატარების წესით“ R03I01G.
- 22.8. წერთი გამოცდის/შეფასების ორგანიზება და წარმართვა ხორციელდება საგამოცდო ცენტრის მიერ.
- 22.9. შეფასების ფურცლები და ოქმი ინახება საგამოცდო ნაწერების შენახვისათვის დადგენილი წესის დაცვით.
- 22.10. წერთი გამოცდის/შეფასების ორგანიზება და წარმართვა ხორციელდება საგამოცდო ცენტრის მიერ.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით - ოქმი #9.

მუხლი 23. შუალედური შეფასება

- 23.1. შუალედური შეფასებიდან სულ მცირე 6 ქულა ეთმობა პირის სააუდიტორიო აქტიურობას. ლექტორი უფლებამოსილია თავისუფლად განსაზღვროს შუალედური შეფასებების ფორმა და მეთოდი კომპონენტის თავისებურებებიდან გამომდინარე.
- 23.2. კომპონენტს შესაძლებელია ჰქონდეს მხოლოდ ერთი შუალედური გამოცდა. აღნიშნული გამოცდა ტარდება მე-8 კვირაში. საგამოცდო ცხრილის მოთხოვნებიდან გამომდინარე, აგრეთვე შესაძლებელია ჩატარდეს მე-9 კვირაში.

მუხლი 24. დასკვნითი შეფასება

- 24.1. დასკვნითი შეფასება ტარდება სემესტრის ბოლოს.
- 24.2. დასკვნითი შეფასების მაქსიმალური ქულა განისაზღვრება კომპონენტის სილაბუსით.
- 24.3. დასკვნით შეფასებაზე დაშვებისათვის სავალდებულოა, რომ პირს გადალახული ჰქონდეს შუალედური შეფასებებიდან პირს დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
- 24.4. საბოლოო შეფასების მიზნებისათვის (კრედიტის მინიჭებისათვის) დასკვნითი შეფასების მიღება სავალდებულოა და მიღებულად ითვლება, თუ პირმა გადალახა დასკვნითი შეფასებისათვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით - ოქმი #9.

მუხლი 25. აღდგენითი შუალედური გამოცდა/აღდგენითი დასკვნითი შეფასება

- 25.1. შუალედური გამოცდის გაცდენის შემთხვევაში, პირი უფლებამოსილია გავიდეს აღდგენით გამოცდაზე სემესტრის მე-11 კვირაში, ხოლო დასკვნითი შეფასების გაცდენის შემთხვევაში, აღდგენით შეფასებაზე შხსუ-ს აკადემიური კალენდრით განსაზღვრულ პერიოდში.
- 25.2. პირი ვალდებულია გამოცდის გაცდენის საპატიო მიზეზის დამადასრურებელი დოკუმენტი შუალედური გამოცდის თარიღიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში, ხოლო დასკვნითი შეფასების თარიღიდან 2 კალენდარული დღის განმავლობაში, წარუდგინოს ფაკულტეტს. გაცდენის მიზეზის/ხასიათიდან გამომდინარე, საპატიო მიზეზის არსებობა დგინდება სამედიცინო, სამართლებრივი ან სხვა სახის დოკუმენტ(ებ)ის საფუძველზე, გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხზე იღებს ფაკულტეტის საბჭო.
- 25.3. დამატებით შეფასებას არ აქვს აღდგენითი გამოცდა.
- 25.4. აღდგენით გამოცდას/შეფასებას არ აქვს აღდგენითი გამოცდა/შეფასება.

მუხლი 26. დამატებითი გამოცდა

- 26.1. დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს პირს თუ:
 - ა) მისი ჯამური სემესტრული ქულა (შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი შეფასების ჯამი) არის 41-50 ქულა;
 - ბ) მისი ჯამური სემესტრული ქულა (შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი შეფასების ჯამი) არის არანაკლებ 51 ქულა და მან ვერ გადალახა დასკვნითი შეფასებისათვის დაწესებული მინიმალური ზღვარი.

- 26.2. დამატებითი გამოცდა ტარდება შესაბამისი დასკვნითი (დასკვნითი ადლგენითი) შეფასების შედეგების გამოცხადებიდან არაუადრეს 5 კალენდარული დღისა.
- 26.3. დამატებით გამოცდაზე მიღებული ქულა ცვლის დასკვნით შეფასებაზე მიღებულ ქულას.
- 26.4. დამატებითი გამოცდის მიმართ მოქმედებს 24.4 პუნქტით განსაზღვრული წესი.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით - ოქმი #9.

მუხლი 27. პირის მიღწევების შეფასება

- 27.1. საკრედიტო სისტემა ითვალისწინებს:
 - ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:
 - ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
 - ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
 - ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
 - ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
 - ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
 - ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
 - ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
 - ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
- 27.2. ჯამური შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი შეფასების დაჯამების საფუძველზე.

მუხლი 28. საგამოცდო პროცესი

- 28.1. გამოცდების ჩატარებასთან, საგამოცდო წესებთან, ნაშრომის გასაჩივრებასთან და გამოცდებთან დაკავშირებული სხვა საკითხები განსაზღვრულია „გამოცდების ჩატარების წესით“ (R03I01).

მუხლი 29. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება

- 29.1. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისათვის პირმა უნდა დააგროვოს პროგრამით გათვალისწინებული 60 კრედიტი.

- 29.2. პროგრამის დასრულების შემდეგ, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, რექტორის აქტით პირზე გაიცემა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სერტიფიკატი და სერტიფიკატის დანართი.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით - ოქმი #9.

მუხლი 30. სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებული საკითხები

- 30.1. სწავლის წლიური საფასურის გადახდა ორ ნაწილად ხდება. თითოეულ ნაწილის გადახდა სემესტრის დასაწყისში, აკადემიური კალენდრით განსაზღვრული რეგისტრაციის პერიოდში ხორციელდება.
- 30.2. პირსა და შხსუ-ს შორის დადებულ ხელშეკრულებაში (R17F06), შესაბამისი განსაზღვრების არსებობის შემთხვევაში, სწავლის საფასურის გადახდა შესაძლებელია განხორციელდეს ორზე მეტ ნაწილად.
- 30.3. სწავლის საფასურის გადახდა ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, ხელშეკრულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

მუხლი 31. სახელმწიფო გრანტი

- 31.1. პირები, რომლებიც ფლობენ სახელმწიფო გრანტს, თავისუფლდებიან სწავლის საფასურის გადახდისაგან.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით - ოქმი #9.

მუხლი 32. სწავლის საფასურის გადახდა დამატებითი/ჩაჭრილი კომპონენტ(ებ)ის/დამატებითი სემესტრ(ებ)ისათვის

- 32.1. ხელშეკრულებით განსაზღვრული სწავლის საფასური მოქმედებს ოთხი აქტიური სემესტრის განმავლობაში. მოქმედების ვადის ათვლა იწყება შესაბამის საფეხურზე ხელშეკრულების დადების თარიღიდან.
- 32.2. თუ პირი ვერ ასრულებს სწავლას პროგრამით დადგენილ ვადაში, დამატებითი კომპონენტისათვის გადახდილი სწავლის საფასური შეადგენს შესაბამის პროგრამაზე პირველკურსელთათვის დადგენილი სწავლის საფასურის ოდენობას.
- 32.3. თუ პირი იღებს დამატებით/ჩაჭრილ კომპონენტს სემესტრული 30 კრედიტის ფარგლებს გარეთ (ამასთან წლიური 75 კრედიტის ლიმიტში), სწავლის საფასური დამატებითი კომპონენტისათვის განისაზღვრება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

მუხლი 33. სწავლის საფასურის გადახდის წესი სტატუსშეჩერებული პირებისათვის

- 33.1. სტატუსის შეჩერება (R03F05) შესაბამის სემესტრ(ებ)ში სწავლის საფასურის გადახდის შეჩერების საფუძველია.

- 33.2. სტატუსის შეჩერება არ იწვევს ფინანსურ დავალიანებასთან დაკავშირებული სტუდენტის ვალდებულების შეჩერებას. სტატუსის აღდგენა არ მოხდება ფინანსური დავალიანების სრულად დაფარვამდე (გარდა იმ შემთხვევასა, როცა არსებობს განსხვავებული შეთანხმება შხსუ-სა და პირს შორის).
- 33.3. თუ სტატუსის შეჩერება (პირის ინიციატივით ინიციატივით) მოხდა სემესტრის დაწყებიდან შვიდი კვირის განმავლობაში, პირი თავისუფლდება მიმდინარე სემესტრის დარჩენილი პერიოდის სწავლის საფასურის გადახდისაგან.
- 33.4. თუ სტატუსის შეჩერება (პირის ინიციატივით) მოხდა სემესტრის დაწყებიდან შვიდი კვირის შემდგომ პერიოდში, პირი ვალდებულია სრულად დაფაროს მიმდინარე სემესტრის სწავლის საფასური (გამონაკლისი ამ წესიდან შესაძლებელია განისაზღვროს კანცლერის აპარატის გადაწყვეტილებით).

მუხლი 34. სწავლის საფასურის გადახდის წესი სტატუსშეწყვეტილი პირებისათვის

- 34.1. სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში (R03F58), შხსუ უფლებამოსილია პირს მოითხოვოს გადაუხდელი სწავლის საფასურის დაფარვა. ამასთან, შხსუ უფლებამოსილია პირს დაუკავოს მისი პირადი საქმე (დედნები), ფინანსური დავალიანების სრულიად დაფარვამდე.
- 34.2. შხსუ უფლებამოსილია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების გამო სტატუსშეწყვეტილ პირს დაუკავოს პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი - მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი, ფინანსური დავალიანების სრულად დაფარვამდე.
- 34.3. პირის ინიციატივით სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მიმდინარე სემესტრის სწავლის საფასურის დაფარვის საკითხი წესრიგდება დებულების 33.3 და 33.4 პუნქტებით განსაზღვრული წესის მიხედვით.

მუხლი 35. ვალის არსებობის აღიარება

- 35.1. რექტორის/კანცლერის გადაწყვეტილების საფუძველზე, შესაძლებელია შხსუ-სა და პირს შორის გაფორმდეს ვალის აღიარების სპეციალური შეთანხმება (R09F01), გადახდის გრაფიკისა და ფინანსური დავალიანების შესახებ.

მუხლი 36. დასკვნითი დებულებები

- 36.1. პირის დისციპლინასთან დაკავშირებული საკითხები მოწესრიგებულია „სტუდენტთა დისციპლინარული პასუხისმგებლობის მარეგულირებელი წესით (R07). ამასთან, აღნიშნული წესი მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირზე ვრცელდება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით.

- 36.2. საკითხები, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე წესით, რეგულირდება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირსა და შსსუ-ს შორის დადებული ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 37. გარდამავალი დებულებები

- 37.1. 2021 წლის ბოლომდე აპლიკანტი შესაძლებელია იყოს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი. ამ პუნქტით გათვალისწინებული პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების საფუძველია იმ საგნის გამოცდის ჩაბარება, რომლის სწავლებაც სურს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში. ამ პუნქტით გათვალისწინებული პირი, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, შსსუ-ს წარუდგენს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებულ უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს. შსსუ უფლებამოსილია პირი ჩარიცხოს მის მიერ ჩაბარებული საგნის გამოცდის შესაბამის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროგრამის მოდულზე.

- 37.2. წინამდებარე დებულების 3.1.1 პუნქტით განსაზღვრული საგნის გამოცდის ჩაბარებისაგან თავისუფლდება:

37.2.1. პირი, რომელსაც აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ან სამხედრო/სასპორტო პროფესიული განათლება (ამ შემთხვევაში აუცილებელია სრული ზოგადი განათლების ქონა) და საგნის გამოცდის ჩატარების წესის შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის ბრძანება №111/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის“ დამტკიცებამდე წარმატებით აქვს დაძლეული საგნის გამოცდა;

37.2.2. პირი, რომელსაც აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ან სამხედრო/სასპორტო პროფესიული განათლება და წარმატებით აქვს ჩაბარებული „მასწავლებელთა სერტიფიცირების დებულებისა და მასწავლებლის სერტიფიკატის ნიმუშის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 4 დეკემბრის № 1101 ბრძანებით გათვალისწინებული მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის შინაარსობრივი ნაწილი.

- 37.3. წინამდებარე დებულების 37.2 პუნქტით გათვალისწინებულ პირს უფლება აქვს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით მონაწილეობა მიიღოს შსსუ-ს მიერ განსაზღვრულ გამოცდაში. ამ

პუნქტით გათვალისწინებული პირი, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, შსსუ-ს წარუდგენს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებულ უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს ან სამხედრო/სასპორტო პროფესიული განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს.

- 37.4. 2016 – 2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების ვადები (საბუთების მიღების ვადა, გამოცდის ჩატარების პერიოდი, საგამოცდო და სააპელაციო კომისიების შექმნის ვადა, მათ მიერ საგამოცდო ნამუშევრის შეფასების ვადა და შედეგების (პირველადი და საბოლოო) გამოცხადების ვადა განსხვავდება წინამდებარე წესით დადგენილი ვადებისაგან და განისაზღვრება რექტორის აქტით.

მუხლი 38. ძალაში შესვლა

- 38.1. წინამდებარე დებულება ძალაში შედის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებისთანავე.

მუხლი 39. შესრულებაზე ზედამხედველობა

- 39.1. წინამდებარე დოკუმენტის შესრულებაზე პასუხისმგებელია პრორექტორი სასწავლო დარგში.

უნივერსიტეტის წესების შეუსრულებლობა დაუშვებელია. ყველა ვალდებულია იცნობდეს შხსუ-ს მიერ შემუშავებულ წესებსა და რეგულაციებს.

შხსუ ყველას თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობს, განურჩევლად სქესის, რასის, ეროვნების, წარმომავლობის, რწმენის, საზოგადოებრივი სტატუსის, ფიზიკური, გონებრივი, ემოციური სხვაობისა და სწავლის განსხვავებული უნარისა.

გამოსცა:

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

დავით აღმაშენებლის ხეივანი, 13 კმ., 2, 0131

თბილისი, საქართველო

www.ibsu.edu.ge

contact@ibsu.edu.ge



IBSU